5381649473150

www.info.court.ge

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №3/6522-19

4 სექტემბერი, 2019 წელი
ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე ანა ჩხეტია**

**შუამდგომლობის ავტორი** – საქართველოს იუსტიციის **სამინისტრო**
**მოთხოვნა** - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციების საფუძველზე შექმნილი „ისლამური სახელმწიფოს" („დაეში") და „ალ-ქაედას" სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა ქონებაზე ყადაღის დადება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა და

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2019 წლის 20 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციების საფუძველზე შექმნილი „ისლამური სახელმწიფოს" („დაეში") და „ალ-ქაედას" სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრული შემდეგი 2 ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე:

| პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება / მოქალაქეობა) | ფსევდონიმ(ებ)ი, ზედმეტსახელ(ებ)ი | პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი | მისამართი/შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1) *სახელები:* 1) ალი (ALI) 2) მაიჩოუ (MAYCHOU) *სახელი (დამწერლობა წარმოშობის* | ა) აბდერაჰმანე ალ მაგრები (Abderahmane al Maghrebi); ბ) აბდერრაჰმანე ლე მაროკაინ (Abderrahmane le Marocain); | მაროკოს პასპორტის ნომერი: V06359364 (Morocco number: V06359364); მაროკოელი | მალი (Mali) | 2019 წლის 14 აგვისტო (14 Aug. 2019) | ალ-ქაიდას, ანსარ ედდინეს (QDe.135) და ჯამა'ა ნუსრატ ულ-ისლამ ვა ალ-მუსლიმინის (JNIM) (QDe.159) წევრი ისლამურ მაგრიბში (AQIM) (QDe.014). ფიზიკური მახასიათებლები: |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *ქართულად):*<br>*(Name (original script):*<br>وشي لم بلغ<br><br>*დაბადების თარიღი:*<br>ა) 1983 წლის 25 მაისი<br>(25 May 1983)<br><br>*დაბადების ადგილი:*<br>ტაზა, მაროკო<br>(Taza, Morocco)<br><br>*მოქალაქეობა:*<br>მაროკო<br>(Morocco) | გ) აბოუ აბდერაჰმანე სანჰაჯი<br>(Abou Abderahmane Sanhaji). | პირადობის მოწმობის ნომერი:<br>AB704306<br><br>(Morocco identity card AB704306) | | | სიმაღლე: 185 სმ; წონა: 80 კგ.<br><br>(Member of Al Qaida in the Islamic Maghreb (AQIM) (QDe.014), Ansar Eddine (QDe.135), and Jama'a Nusrat ul-Islam wa al-Muslimin (JNIM) (QDe.159). Physical description: height: 185 cm; weight: 80 kg). |
| 2)<br>*სახელები:*<br>1) ბაჰ<br>(BAH)<br>2) აგ მოუსსა<br>(AG MOUSSA)<br><br>*მოქალაქეობა:*<br>მალი<br>(Mali) | ა) აგ მოსსა<br>(Ag Mossa);<br><br>ბ) ამმი სალიმ<br>(Ammi Salim). | | | 2019 წლის 14 აგვისტო<br><br>(14 Aug. 2019) | ანსარ ედდინეს (QDe.135) დამფუძნებელი წევრი, ჯამა'ა ნუსრათ ულ-ისლამ ვა ალ-მუსლიმინის (JNIM) (QDe. 159) საბრძოლო ლიდერი.<br><br>(Founding member of Ansar Eddine (QDe.135), operational leader of Jama'a Nusrat ul-Islam wa al-Muslimin (JNIM) (QDe.159). |

სასამართლო გაეცნო რა საქმის მასალებს, მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{30}$-ე მუხლის თანახმად, ბრძანებას ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიღებული რეზოლუციებით განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის , რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. ქონებად მოიაზრება ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, ან ამ შემოსავლით შეძენილი ქონება, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ, დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად ფლობენ, სარგებლობენ ან განკარგავენ ამ თავით განსაზღვრული პირები.

ამავე კოდექსის $21^{31}$-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე კომისიის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს და მასში უნდა მიეთითოს ტერორიზმთან დაკავშირებული პირის და მისი ქონების შესახებ მონაცემები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამავე კოდექსის $21^{32}$ მუხლის თანახმად, მოსამართლე გადაწყვეტილებას კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში, ტერორიზმთან დაკავშირებული ან გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირისათვის შეუტყობინებლად, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე. პირის ქონებაზე ყადაღის დადება ხდება უვადოდ, ვიდრე არ მოხდება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმება. მოსამართლის ბრძანება დგება სამ ცალად. ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში, მეორე ეგზავნება კომისიას, ხოლო მესამე – შუამდგომლობაში მითითებულ პირს. თუ აღნიშნული პირისთვის ბრძანების გადაცემა ვერ ხერხდება, იგი ქვეყნდება საჯაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მესამე დღეს.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, შუამდგომლობა შეიცავს საკმარის საფუძველს ბრძანების გასაცემად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{30}$-ე- $21^{32}$-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ყადაღა დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციების საფუძველზე შექმნილი „ისლამური სახელმწიფოსა" („დაეში") და „ალ-ქაედას" სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე შემდეგი ორი ფიზიკური პირის ქონებას:

| პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება / მოქალაქეობა) | ფსევდონიმ(ებ)ი, ზედმეტსახელ(ებ)ი | პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი | მისამართი/შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1)<br>*სახელები:*<br>1) ალი<br>(ALI)<br>2) მაიჩოუ<br>(MAYCHOU)<br><br>*სახელი (დამწერლობა წარმოშობის ქვეყანაში):*<br>*(Name (original script):*<br>وشي ام بلغ<br><br>*დაბადების თარიღი:*<br>ა) 1983 წლის 25 | ა) აბდერაჰმანე ალ მაგჰრები (Abderahmane al Maghrebi);<br><br>ბ) აბდერრაჰმანე ლე მაროკაინ (Abderrahmane le Marocain);<br><br>გ) აბოუ აბდერაჰმანე სანჰაჯი (Abou Abderahmane Sanhaji). | მაროკოს პასპორტის ნომერი: V06359364<br><br>(Morocco number: V06359364);<br><br>მაროკოული პირადობის მოწმობის ნომერი: AB704306<br><br>(Morocco identity card | მალი (Mali) | 2019 წლის 14 აგვისტო<br><br>(14 Aug. 2019) | ალ-ქაიდას, ანსარ ედდინეს (QDe.135) და ჯამა'ა ნუსრათ ულ-ისლამ ვა ალ-მუსლიმინის (JNIM) (QDe.159) წევრი ისლამურ მაგრიბში (AQIM) (QDe.014). ფიზიკური მახასიათებლები: სიმაღლე: 185 სმ; წონა: 80 კგ.<br><br>(Member of Al Qaida in the Islamic Maghreb (AQIM) (QDe.014), Ansar Eddine |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაისი<br>(25 May 1983)<br><br><u>დაბადების ადგილი:</u><br>ტაზა, მაროკო<br>(Taza, Morocco)<br><br><u>მოქალაქეობა:</u><br>მაროკო<br>(Morocco) | | AB704306) | | | (QDe.135), and Jama'a Nusrat ul-Islam wa al-Muslimin (JNIM) (QDe.159). Physical description: height: 185 cm; weight: 80 kg). |
| 2)<br><u>სახელები:</u><br>1) ბაჰ<br>(BAH)<br>2) აგ მოუსსა<br>(AG MOUSSA)<br><br><u>მოქალაქეობა:</u><br>მალი<br>(Mali) | ა) აგ მოსსა<br>(Ag Mossa);<br><br>ბ) ამმი სალიმ<br>(Ammi Salim). | | | 2019 წლის 14 აგვისტო<br><br>(14 Aug. 2019) | ანსარ ედდინეს (QDe.135) დამფუძნებელი წევრი, ჯამა'ა ნუსრათ ულ-ისლამ ვა ალ-მუსლიმინის (JNIM) (QDe. 159) საბრძოლო ლიდერი.<br><br>(Founding member of Ansar Eddine (QDe.135), operational leader of Jama'a Nusrat ul-Islam wa al-Muslimin (JNIM) (QDe.159). |

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე და მისი გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების მოქმედებას;

4. ბრძანება განთავსდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, გრიგოლ რობაქიძის ქ. №7ა) მხარისათვის მისი ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით ( ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მოსამართლე ანა ჩხეტია